

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

13 თებერვალი, ოთხშაბათი, 1991 წ. № 25 (10 488) • ფასი 10 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკა

სრულიად საქართველოს სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის დასახელება

1. ზოგადი დებულება

1.1. სრულიად საქართველოს სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი არის მასობრივი საზოგადოებრივი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში ნებაყოფლობით საწყისებზე აერთიანებს საქართველოს რესპუბლიკის სპორტსმენებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, დარგში მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს, იმ უმძიმეს და საშუალო სასწავლებლების სტუდენტებს, მოსწავლეებს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც დარგისათვის ამზადებენ სპეციალისტებს, რასის, ეროვნების, სქესის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის განურჩევლად.

1.2. სრულიად საქართველოს სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი შექმნილია დარგის მუშაკთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებებისა და ინტერესების დაცვად.

1.3. სრულიად საქართველოს სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი არის სუბიექტური, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკური და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, არ არის მათდამი ანგარიშვალდებული და არ ექვემდებარება მათ კონტროლს, დარგის მუშაკთა ინტერესებიდან გამომდინარე მათთან ურთიერთობის წარმართავს პარიტეტულობის და თანასწორუფლებიანი პარტნიორობის საფუძველზე. დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის კონცეფციას, ამტკიცებს წესდებას, განაგებს, საფინანსო საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ქმნის სოლიდარობის

ფონდს. ეწევა საკუთარ კომერციულ საქმიანობას.

1.4. პროფესიული კავშირი, ინარჩუნებს რა სრულ დამოუკიდებლობას, თავად წყვეტს გაერთიანდეს თუ არა რომელიმე პროფესიონალ ორგანიზაციას.

1.5. პროფესიული კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, რესპუბლიკის კანონმდებლობის, აღნიშნული წესდების და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული ფუნქციონირების საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტების შესაბამისად.

1.6. სრულიად საქართველოს სპორტსმენთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი იცავს დარგის პროფესიონალების წევრთა სოციალურ, შრომით, სამართლებრივ და ეკონომიკურ ინტერესებს, მონაწილეობს დარგში მომუშავეთა ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შექმნის, შრომის ანაზღაურების ზრდის, ფასწარმოქმნისა და ინფლაციის პროცესების გადაწყვეტაში, მართავს სოციალურ დაზღვევას, ჯანმრთელობისა და კულტურის ობიექტების საქმიანობას. აუცილებლობის შემთხვევაში გამოდის მოთხოვნით სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოთა მიერ მიღებული მშრომელთა ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების შეჩერების შესახებ, სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებებით.

1.7. აზორციელებს რა თავის ფუნქციებს, პროფესიული კავშირი იყენებს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ყველა კანონით გათვალისწინებულ საშუალებას, ხოლო თუ შემთხვევების ყველა სხვა

ინ მ 2 33

ეს-ეს-საა შევიტყუეთ...

10 თებერვალს გაიმართა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები:

„ბარი“ — „რომა“ 0:1, „ბოლონია“ — „სამპდორია“ 0:3, „კალიარი“ — „ატლანტა“ 1:1, „ფიორენტინა“ — „მილანი“ 0:0, „ჯენოვა“ — „პიზა“ 4:2, „ინტერნაციონალი“ — „ტორინო“ 1:0, „იუვენტუსი“ — „ჩეჩენა“ 3:0, „ლაციო“ — „ლეჩე“ 2:0, „ნაპოლი“ — „პარმა“ 4:2.

გათავაზების ცხრილი

მდგომარეობა 18 თებერვლისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ინტერი“	20	11	6	3	37-21	28
„სამპდორია“	20	11	6	3	30-14	28
„იუვენტუსი“	20	10	7	3	34-15	27
„მილანი“	20	10	7	3	21-10	27
„პარმა“	20	8	7	5	22-21	23
„ჯენოვა“	20	7	8	5	25-21	22
„ლაციო“	20	4	14	2	18-14	22
„ტორინო“	20	7	7	6	22-17	21
„რომა“	20	7	6	7	28-25	20
„ბარი“	20	6	7	7	27-27	19
„ნაპოლი“	20	5	9	6	20-22	19
„ფიორენტინა“	20	4	10	6	22-22	18
„ატლანტა“	20	4	9	7	16-26	17
„ლეჩე“	20	4	9	7	11-23	17
„პიზა“	20	6	4	10	25-36	16
„ბოლონია“	20	3	8	9	14-23	14
„კალიარი“	20	2	9	9	12-26	13
„ჩეჩენა“	20	2	5	13	14-38	9




თბილისი, სპორტის სასახლე 15-16 თებერვალი

XXII საერთაშორისო ტურნირი ქიუდოში

17 თებერვალი

საერთაშორისო ტურნირი

ქართულ ჭიდაობაში



მონაწილეობენ: ესპანეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, კოლონეთის, თურქეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს გუნდები

დასაწყისი 11 და 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის საღარიბოში.

შურნალისტთა საპუბლიკო

ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია და შურნალისტთა კრებულება ჩატარდება 15 თებერვალს, 18 საათზე. სპორტის სასახლეში.

ტურნირები და შედეგები

ჩოგბურთის მსოფლიო ჩემპიონატი. უო ვაუთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. პირველ წრეში გაიმარჯვეს: იაკობ ჰლანგმა (შვეიცარია), მაიკლ ჩანგმა (აშშ), გი ფორუმ (საფრანგეთი) და პატ კეშმა (ავსტრალია).

მელნოსნობა. იაპონიის ქალაქ ოსაკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 60 მეტრიანი დისტანცია ერთნაირ დროში (6,64) გაირბინეს კანადელმა ბენ ჯონსონმა და კუბელმა ანდრეს სიმონმა. ფოტოფინიშის გასწვრივების შემდეგ უპირატესობა ჯონსონს მიეკუთვნა. აქვე სიმონმა მსოფლიო რეკორდს შექმნა. მისი შედეგი — 234 სმ. წლეულს მეორეა მსოფლიოში. ქალთა 60 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი ამერიკელ ეველინ ეშფორდს ხვდა — 7,22. მსოფლიო რეკორდსმენი, პოლანდიელი ნელი კუმანი მეორე ადგილზე დარჩა — 7,25.

ქიუდო. პარიზის საერთაშორისო ტურნირში ჯერჯერობით წარმატებით გამოდინ მხოლოდ მასპინძლები. ვაუთა შორის პირველი ადგილები დაიხაჯურეს: პიერ ხარის-მენდომ, ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა ბრუნო კარაბეტამ, პასკალ ტაიომ და სტეფან ტრაინომ. გაიმარჯვა აგრეთვე ბელგიელმა ფილიო ლაატსმა. ჯერჯერობით პრიზიორთა შორის არ არის არც ერთი საბჭოთა ძიუდოისტი.

ცხენოსნობა. ბრემენში (გერმანია) გამართულ „გრან-პრის“ სპეციალურ ტურნირზე (ცხენის გაწვრთნაში), პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ნიკოლ უპკოფმა (გერმანია), მან თანაგუნდელ იან ბემელმანსთან დაძაბულ ბრძოლაში 1450 ქულა მოაგროვა. ოლიმპიური ჩემპიონი გამოდიოდა თავის ცხენზე — რემბრანდტზე.

კალათბურთი. გაიმართა ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი. კიევის „ბუდიველნიკმა“ უმასპინძლა ტაშეცის „უზსტრომიე-ხანიჩაიანს“ და დამარცხა იგი — 105:88 (58:82).

მსოფლიო რეკორდი

მელნოსნობა. შტუტგარტში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 5-კილომეტრიანი დისტანცია ქალთა შორის მდგომ გერმანელმა ქალე პიპიგმა. მისი შედეგი — 15.17,28 ახალი მსოფლიო რეკორდია დარბაზებისთვისა ამავე შეჯიბრებაში ნახევრები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი: 60 მ. ლეროი ბარელი (აშშ) — 6,57; სიგარტეხ სტომა. დიტმარ პაფი (გერმანია) — 820 სმ.

შედეგები ბრძოლა ნინა

ვასტანზ იავორაშვილმა

ნელთ ივდო ლიდერობა

ქიევიში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთბრძოლაში, რომელშიც ქვეყნის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობს. პირველი სახეობის — ფარიკაობის შემდეგ დიდებობა ხელთ ივდო ჩვენმა თანამემამულემ, თბილისელმა ვასტანზ იავორაშვილმა. მას 1046 ქულა აქვს.

პრიზიორთა სამეულში ჯერჯერობით მოხვდნენ ნაკლებადცნობილი ხუთბრძოლები — ივორ ფელდმანი (ქალაქ ბიშკეიდან) და ლვოველი გრიგორი ბრემელი. პირველმა ფარიკაობაში 1000 ქულა დააგროვა, მეორემ — 977.

მსოფლიოს ექსპერტების მოსკოვულ ანატოლი სტაროსტინს, ისევე როგორც მის თანაქალაქელ დმიტრი ნესიტოვს, 954 ქულა აქვს და მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. ჩემპიონატში მთავარი ბრძოლა, საფიქრებელია, იავორაშვილსა და სტაროსტინს შორის გაიმართება (არ არის გამორიცხული, მათ სწავშირო ნაკრების სხვა წევრებზე შეუერთდნენ). ჯერჯერობით თბილისელი სპორტსმენი 92 ქულათა დაწინაურებულია, მაგრამ თანამედროვე ხუთბრძოლაში ეს ვერაფერი უპირატესობაა, ამიტომ ბრძოლა ფავორიტებს ჯერ წინა პლანზე.

გუდაური-93 — მსოფლიო შურნალისტთა „პრეს-ცენტრი“

სამართალმცოდნეო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან შეხვედრის სურვილი ჩემპიონატის მონაწილე თითქმის ყველა ქურნალისტმა გამოთქვა. შეჯიბრებაზე ჩამოსული უმეტესად პოლიტიკურ თემაზე მომუშავე რეპორტიორები იყვნენ. ამიტომ მათი დაინტერესება მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელთან შეხვედრით უკვე იმას მიგვანიშნებდა, რომ საუბარი ძირითადად სპორტისა და პოლიტიკის ურთიერთობის საკითხებს დაუკავშირდებოდა.

ჩვენი მზად ვიყავით. გამოგიტყდებით, ბევრს ვფიქრობდით, რა შეკითხვები დაგვსვდა, როგორ წარგვემართა კერძო საუბარი, თუკი ამის შესაძლებლობა მართლაც მოგვეცემოდა. ასეთ დონეზე შეხვედრისას ყველაფერი გასათვალისწინებელია. ერთმა უადგილო შეკითხვამ შეიძლება საერთოდ გააფუჭოს საქმე. არადა, თავს ხომ ვერ მოიტყუებ. ვინც ოლიმპიურ ქარტიას კარგად იცნობს, მან ისიც იცის, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და მისი ხელმძღვანელობა ქარტის ერთგულ გუშაგად რჩებიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სოკის რიგებში ახალი წევრი ქვეყნის მიღებას ეხება.

ჩვენი პრობლემები ჩვენზე უკეთ ვინ იცის. ისიც კარგად ვიცით, სამარანს რა პოზიცია უკავია მოსკოვის კარნახით. ამიტომ ვგაძრვობდით უხერხულობას. პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტს კობა წაქაძემ პითხა: როგორია თქვენი პოზიცია, სოკ-ში გაწევრიანების რა პერსპექტივა აქვთ იმ საბჭოთა რესპუბლიკებს, სადაც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები შეიქმნა? სამარანსმა ამ კითხვას ვერც კარგად უპასუხა, მაგრამ ძალიან ხშირად იმეორებდა, რომ „ეს პოლიტიკის საკითხია“. პრეს-კონფერენციაზე ჩვენ მეტი არაფერი გვექონდა სათქმელი. პირადად შეხვედრისას კი... პრეს-კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში წინადაცვალებით ადგილი, რათა ფოტოაპარატით მუშაობის საშუალებაც გვექონდა. დარბაზში ზეზეა ლულუნშვილი შემოვიდა, მომკებნა, ისე, რომ არაფერი უთქვამს, გარეთ გამიყვანა და პირდაპირ სამარანსთან წარმადგინა. პრეზიდენტმა გაცნობისთანავე მითხრა: „საქართველოში მინდა ჩამოვიდეთ, სიმარანსმა მომიწვია“. ამას კი ნამდვილად არ ველოდი.

დღემდე გამოცანად რჩება, ან საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის ახალი თავკაცის სმირნოვის მოწვევა რას გულისხმობს, ან თვით სოკის პრეზიდენტის ექვანცხადება რას ნიშნავდა. იქნებ იმას, რომ წინდაწინ მიმხვედრა — საჩოთირო საკითხებზე აქ ნუ ვისაუბრებთ, ეს საქართველოში ჩამოსვლისთვის გადავდოთ სამარანსი ხომ ცნობილი დიპლომატია და ნოსკოვსიც დიდხანს მუშაობდა, როგორც ესპანეთის ელჩი.

ზეზეა ლულუნშვილი დაგვწორდა, მე ბატონ სამარანსს ვთხოვე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 28, 24.

რუსულად გვესაუბრა, რაზედაც იგი დამთანხმდა.


● ბატონო პრეზიდენტო, როგორ ფიქრობთ, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები, კერძოდ, ბალტიისპირეთში დატრიალებული ამბები, ხომ არ გახდება ოლიმპიურ მოძრაობაში ახალი ბოიკოტის საბაზი?

მეცხვდი, შეკითხვა მაინც დამაინც არ ესაიშვნა. გასაგებია, სიტყვა ბოიკოტის ხსენებაც კი შეშფოთებას იწვევს კაცში, რომელმაც ამდენი რამ იღონა ოლიმპიური სამყაროს გამოთიანებისათვის. ბატონმა სამარანსმა მკითხველს პაუზის შემდეგ მოკლედ მოჰრა: „ეს არ უნდა მოხდეს“.

● ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოლიმპიური სტატუსის აღდგენის საკითხის შესახებ რესპუბლიკისა და შეგიქმნიათ...

— დიახ, კომისია უკვე მუშაობს.

● ბატონო პრეზიდენტო, პირადად თუ შეხვედრისხარტ ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებს?



● ხუან ანტონიო სამარანსთან (სურათზე მარცხნივ) შეხვედრის დროს.



● ასე შეიძროდა დასახლებული გრემენი.



— ბალტიისპირეთში ოლიმპიური კომიტეტების აღდგენის საკითხთან დაკავშირებით არც ოფიციალურად, არც არაოფიციალურად ამ რესპუბლიკების წარმომადგენლებს პირადად არ შეხვედრივარ.

● თქვენ პროფესიონალი დიპლომატი ბრძანდებით, თქვენზე უკეთ ვინ გაუგებს საბჭოთა რესპუბლიკებს, მით უმეტეს, მოსკოვშიც მუშაობდით.

— თანავგაძრობთ, მაგრამ თქვენც გაგვიგეთ...

● ვიცო, რასაც მიზანუხებთ, მაგრამ არ შემიძლია არ გკითხოთ... ეტყობა, პრეზიდენტი მიმიხვდა, რისი თქმაც მინდოდა და თქვა: ყველაფერი გაირკვევა, როცა საბჭოთა კავშირში გადმოიქრება პოლიტიკური პრობლემები. ჩვენ წინ ვერ გავუსწრებთ პოლიტიკას. ეს პრობლემა თქვენს გარდა სხვაგანაც დგას.

● ვთქვით, საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მაშინ...

— მაშინ ვნახოთ, მაგრამ ტერიტორიული საკითხი? ვიდრე პოლიტიკურ რუკაზე ცვლილებები არ მოხდება... ერთი ეოკ-ი ერთი სახელმწიფოდან!

● შეიძლება თუ არა მოავლინოთ თქვენი წარმომადგენელი, რათა გაეცნოს საქართველოს ოლიმპიურ მოძრაობას?

— ეს ალბათ შესაძლებელია.

● პირადად თქვენ როდის გიხილავთ საქართველოში, როდისთვის მოგწვიათ სმირნოვმა?


— ეს ჯერ არ არის ცნობილი.

● ნება მომეცით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით მე მიგიწვიოთ საქართველოში.

— გმადლობთ!

● ბატონო პრეზიდენტო, მინდა გითხრა, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავისი წესდებით და ქარტის მოთხოვნების დაცვით მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და პირადად თქვენი ხელისუფლების უზენაესობას აღიარებს. ჩვენ არ შევდივართ საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში.

ბატონი სამარანსი წამიერად ჩაფიქრდა. კავშირად იგრძობოდა, რომ მან ყველაფერი იცოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ოლიმპიური კომიტეტების შექმნის შესახებ, მაგრამ არ იცოდა, რომ, სხვებისგან განსხვავებით, საქართველოს ეოკ-ი არ არის საკავში-



● ამ საბაგირო გზას სათიხლამურო სპორტის მოყვარულები ზღვის დონიდან დაახლოებით 3000 მეტრ სიმაღლეზე აწყავს, სადაც შეხანიშნავი რესტორანია მოწყობილი (სურათზე, მარცხნივ).



● შვეიცარიის ზამთრის კურორტებზე ყველგან ნახავთ ასეთ სურათს — ბავშვებისთვის პლასტმასის მოხდენილი თოვლზე სასრიალეული იყიდება.

რო ეოკ-ის ერთ-ერთი რგოლი, არ შედის მის სტრუქტურაში.

უეტრად მკითხა: „იღი ხანია?“ „1989 წლის 6 ოქტომბრიდან, შექმნის დღიდანვე...“ მივუგე მე. პრეზიდენტი ისე ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა, ფოთში მდგარ ფოტორეპორტიორს მოუხმო და ხელი გამომიწოდა. მერე დღეს ეს ფოტო სტენდზე გამოაქრეს და რამდენიმე ცალი ჩვენც გადმოგვიცხა. ბატონი პრეზიდენტი დარბაზში მიიწვიეს. ბოლიში მოიხალა, შემდეგ გავაგრძელოთ საუბარი, თქვა, მაგრამ მას აღარ შეხვედრივარ.

სათქმელიც მეტი არაფერი გვექონდა.

თენგიზ გაჩაჩილაძე, „ლელო“ სპეც. კორესპონდენტი.

შვეიცარია.

ალბათ დაგვითანხმებთ: მოთხილამურო სპორტულ შურნალისტთა 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საქართველოში, კერძოდ, გუდაურში ჩატარება, რისი უფლებაც მფრავე კონკურენციაში მოვიპოვეთ, უდიდესი წარმატება და პატივია ჩვენთვის. ახლა სიტუაცია და საჩემ, როგორც იტყვიან, ჩვენსავე ვფიქრობთ, აქედანვე, დაუყოვნებლივ უნდა შევჩვენოთ ჩემპიონატის მომზადება და ჩატარების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი, გახსნათ საპანავაგო ანგარიში განკვი, გამოვანახოთ სპონსორები. გუდაურში მსოფლიო შურნალისტთა თავსარილობას უოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვადით.

მეზგან პირველი პიილო პართველი პეტარაკევი

ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ პირველმა წმინდა ეჩმიადნის მიღება მოუწყო ქართველი მოქალაქეებს, რომლებიც სომეხთში იმყოფებიან მეგობრული ვიზიტით.

კათოლიკოსმა ილაპარაკა სომეხთისა და საქართველოს ათასწლიან ისტორიულ მეგობრობაზე, აღნიშნა, რომ ამ ორმა მეზობელმა ხალხმა თითქმის ერთდროულად მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება და საუკუნოებრივად სიმეუღეებმა

მხოლოდ ხელი შეუწყვეს მათი მტკიცე ურთიერთობის განმტკიცებას; კეთილმეზობლური დამოკიდებულება შენარჩუნებული, აგრეთვე, ორ ამ ეკლესიას შორის. ვაზგენ პირველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ წმინდა ეჩმიადნის მონა-

ხული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. პირველად მოეწყო საპატრიარქო მიღება ქართველ მოქალაქეთა ნაპატივცემოდ, რომელთა შორის იყო მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვის მწვრთნელი, საერთაშორისო ლიდოსტატი ზურაბ აზმაფარაშვილი. აღნიშნა რა, რომ ორივე ხალხი

უმძიმეს დღეებს განიცდის, ვაზგენ პირველმა წარმოქმნილი ძნელი საკითხების სამართლიანი და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის იმედი გამოთქვა. ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა აკურთხა ქართველი მოქალაქეები და კეთილი სურვილები უსურვა მთელ ქართველ ხალხს. **არამეზგანი — საპინფორმი.**



პრეტენდენტთა მერვედფინალური მატჩები ზაფხუში

რვა ღირსეული

დამთავრდა ქარაჯში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მერვედფინალური მატჩების სერია. ყველაზე ბოლოს გამოვლინდა გამარჯვებული ინგლისელი დიდოსტატების ჯონათან სპილმენისა და ნაიჯელ შორტის ორთაბრძოლაში. მეორე დამატებით პარტიაში და, საერთოდ, მატჩში გამარჯვებული ნაიჯელ შორტმა — 5,5:4,5.

მანამდე კი... იან ტიმანმა (ჰოლანდია) აჯობა რობერტ პიუბენერს (გერმანია), ბორის გელფანდმა (სსრკ) — პრედრაგ ნიკოლიჩს (იუგოსლავია), არტურ იუსუპოვიმა — სერგეი დოლმატოვს (ორიგე-სსრკ), ვიქტორ კორჩნოვი (უკრაინა) — დიულა საქსს (უნგრეთი), ვასილ ივანჩუკმა — ლეონიდ იუდასინს (ორიგე — სსრკ), ვისვანათპან ანანდმა (ინდოეთი) — ალექსი დრევესს (სსრკ).

მეოთხედფინალისტთა შორის უბრძოლველად გავიდა ანატოლი კარპოვი. ეს უფლება მან მიიღო წინა ციკლის ფინალურ მატჩში თამაშისათვის.

ამრიგად, ცნობილია პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების ყველა მონაწილე: მსოფლიო ექსპრეზიონის ანატოლი კარპოვი (კოფეციენტი 2725), ბორის გელფანდი (2700), ვასილ ივანჩუკი (2695), ვისვანათპან ანანი, ნაიჯელ შორტი, იან ტიმანი (თითოეული — 2630), ვიქტორ კორჩნოვი (2615) და არტურ იუსუპოვი (2610) მეოთხედფინალური მატჩები, სადაც კვლავ 8-8 პარტია გათამაშდება, ზაფხულის მიწურულში გა-

იმართება. ცხადია, ვაინტერესებს, ვინ ვის შეხვდება. წილისყრის ჩატარება თითქოს ყველა გულშემატკივარს შეეძლო, რადგან ცნობილია დეტალები: ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ხდება მეხუთეს, მეორე — მეექვსეს, მესამე — მეშვიდეს და მეოთხე — მერვეს. მაგრამ ამჯერად საქმე ასე იოლად არ გადაწყდა. ამის მიზეზი ის არის, რომ სამ მოპირდაპირე (ანანდს, შორტსა და ტიმანს) ერთი და იგივე მონაცემები აქვს. ახლა საკითხია მათ შორის რაღაც დამატებითი განსხვავების მოძებნა. სწორედ ამის გამო გადაწყდა 22 თებერვალს ლინარესში, უდიდესი საერთაშორისო ტურნირის გახსნის დღეს, პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების წილისყრის საგანგებოდ ჩატარება.

მსოფლიო ჩემპიონის გარი კასპაროვის მეტოქის ვინაობა 1993 წლისათვის უნდა გაირკვეს.



სპორტის იგ...

ვინაა ის, რა მოხდება?

მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის საკავშირო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ხელმძღვანელობის არჩევას და ამ გზით აწვეული საკალათბურთო ცხოვრების ერთგვარ მოწვევას. ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ვალენტინ სიჩი, რომელმაც

აღმასრულებელ დირექტორად, და მამასადამე თავის მთავარ დამხმარედ, დაასახელა ალექსანდრე დუბოვი — სსრკ სპორტსახკომის კალათბურთის განყოფილების ასლანდელი ხელმძღვანელი. გარკვეული ცვლილებები შეიტანეს ფედერაციის წესდებაში. მიაჩნიათ, რომ ეს ცვლილებები ხელს

შეუწყობს საკალათბურთო მეურნეობის ორგანიზაციულ გარდაქმნას. თუმცა ძნელი დასაჯერებელია ერთი ხელმძღვანელის არჩევით არსებითად შეიცვალოს რაიმე, მით უფრო, რომ აღმასრულებელი დირექტორის პოსტი ძველმა ფუნქციონერმა ჩაიბარა.



„ორი სულაური გოლი“

უელსი	2	4-1	4
გერმანია	1	3-2	2
ლუქსემბურგი	2	2-4	0
ბელგია	1	1-3	6

მეოთხედი, რა თქმა უნდა, ყურადღებას მიიქცევს იმას, რომ ჯგუფში მხოლოდ ოთხი მონაწილეა. თავიდან დადგომილი იყო 5 ნაკრების თამაში, სათანადო კალენდარიც გამოქვეყნდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ისტორიის კუთვნილება გახდა.

შეჯიბრება ამ ჯგუფში შარშან დაიწყო, 17 ოქტომბერს კარდიფში (მატჩს მხოლოდ 15 ათასი მაყურებელი ესწრებოდა) უელსელებმა და ბელგიელებმა შეხვედრით. ბრძოლა მეტად უეპოვარი გამოდგა. ჯერ იყო და, ბელგიელებმა ნახევარმეცველმა ვერსაველმა გახსნა ანგარიში, საპასუხო ბურთი კი მასპინძელთა ცნობილი ცენტრფორვარდმა რაშიმა გაიტანა. შემდეგ უელსელები ბევრს უტევენ, მაგრამ მხოლოდ ბოლო წუთებში დასძლიეს სტუმრების მედგარი წინააღმდეგობა: ჯერ სოუნდერსმა (82 წთ), მერე პიუჟმა (87) გამარჯვება მოუტანეს ბრიტანულ გუნდს.

31 ოქტომბერს ლუქსემბურგში ამ ქვეყნის ნაკრებმა „ახალ სტადიონზე“ (ყველა — 9200 ბილეთი,

ცხადია, მისივე გაიყიდა) მსოფლიო ჩემპიონი — გერმანიის ნაკრები მიიღო. რასხან ლუქსემბურგის ნაკრების შემადგენლობა ნაკლებად საინტერესოა, ჩვენც მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონებს ვაგაგნობთ: ილგენერი („კიოლინი“, 23 წლის, 24 მატჩი ნაკრებში), ბინცი (მაინის ფრანკფურტის „აინტრაქტი“, 25, 30), ბრემე (მილანის „ინტერი“, 29, 60), კოლერი (მიუნხენის „ბაიერნი“, 25, 33), ბერთოლი („რომა“, 25, 45), ბაინი („აინტრაქტი“, 30, 12), რომელიც 173 წუთზე რაინპარტმა (ლევერკუზენის „ბაიერი“, 22, 4) შეცვალა, შტრუნცი („ბაიერნი“, 22, 2), მათეუსი („ინტერი“, 29, 84), პესლერი (ტურინის „იუვენტუსი“, 24, 19), ფიოლერი („რომა“, 30, 72), კლინსმანი („ინტერი“, 26, 28).

ევროპის პირველობა, თუნდაც ლუქსემბურგთან თამაშობდა, მინც ევროპის პირველობაა ვერაგინ დასწამებს ბერტი ფოგთს (რომელიც ისედაც თავისი სახელოვანი წინამორბედის — ბეკენბაუერის ჩრდილოშა), რომ იგი შეხვედრას არასერიოზულად მოეგონა. აქი უცხოეთში მოთამაშე ნ „გარსკვლავიც“ გამოიძახა, მაგრამ...

დასაწყისში მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. კლინსმანი (მე-16 წთ), ბაინმა (30) და ფიოლერმა (49) მასპინძლების კარი სავსე გოლი გაიტანეს, გერმანელებს კიდევ რამდენიმეც უნდა გაეტანათ, მაგრამ ჩემპიონებს თითქოს ხელ-ფეხი შეეკრათ... სულ რაღაც 8 წუთში ორი საპასუხო ბურთი გაუშვეს. 3:2

ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

— ასეთი იყო მატჩის შედეგი, რის შემდეგაც ბევრმა გერმანელმა ექსპერტმა მოითხოვა ბერტი ფოგთის გადადგომა. ბერლინის „ფუფოში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში, რომლის ავტორები არიან რაინერ ნახტიგალი და ანდრეას ბიანგო, ვითხოვობთ: „სულ ახლახან მომხდარი ამის განხილვა გვიხდება. ერთი წლის წინ გერმანიის ნაკრებმა უელსელებს ანგარიშით 2:1 სძლია. მატჩი რომ ფრედ — 1:1 — დამთავრებულიყო, მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ფინალს ვერც იხილავდა — დანიელებს ხომ ბურთების უკეთესი სხვაობა ჰქონდათ. რატომ მოვიგონეთ ეს ამბავი? ხომ არ იქნინა გერმანელი ფეხბურთელები ლუქსემბურგთან გამეგებელი ამ ორი სულაური გოლით სერიოზულ საფრთხეს — დარჩენენ ევროპის ჩემპიონატის ფინალს მიღმა“. მრავლისმეტყველია რეპლიკის სათაუროც: „რას ნიშნავს ეს საპასუხო გოლები?“

შეხვედრას ესწრებოდა ახლო წარსულში კარგად ცნობილი ბელგიელი მეკარე პფაფი, რომელმაც მატჩს კომიკური უწოდა და თქვა, რომ ლუქსემბურგელები უფრო ახლოს იყვნენ ფრესთან (3:3), ვიდრე სტუმრები მატჩის მეტი ანგარიშით მოგვბასთან. მაგრამ, მისივე სიტყვებით, ასეთი რამ ზოგჯერ ყველა, თუნდაც უძლიერესი, ნაკრებს ემართება. ხდება, ბედი არ გავიდომებს. აქვე პფაფმა დასძინა, რომ ბელგიელებსა და უელსელებთან

გერმანელები სულ სხვა განწყობილებით თამაშებენ.

მატჩის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერმა არ მოინდომა თავისი კოლეგის დამცირება და თქვა, რომ წლების განმავლობაში ეს ნაკრები დღემდე რჩებოდა იქნებო. რა თქმა უნდა, ინტერესი გამოიწვია ბელგიელთა მწვრთნელის, 68 წლის გი თისის ინტერვიუმ: „გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ, სადა აქვთ ახლანდელი მოთამაშეებს იმ ფეხბურთელებს ტალანტი, 1972 წელს ევროპის ჩემპიონობა რომ მიიპოვეს“. ამაში გი თისს არავინ შეედავა: მაშინ ხომ გუნდში ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, ოვერტი, ნეტერი და მიულერი იყვნენ. გი თისი მიიჩნევს, რომ ევროპის 1972 წლის ჩემპიონის დაცვა სრულიად შეუძლებელი იყო, რაც ახლანდელ დაცვას არავითარ შემთხვევაში არ ითქმის. აშკარად ცდებოდნენ ლუქსემბურგელებთან ბინცი, ბერთოლი და კოლერი.

ზოგი მიომხილველი ფიქრობს, რომ მსოფლიო ჩემპიონმა დროულად წაიფორჩხილა — გერმანელები ახლა აუცილებლად გამოფხინდებიან. 14 ნოემბერს — კიდევ ერთი მატჩი გაიმართა — ლუქსემბურგელებმა მიიღეს უელსელები და კვლავ მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. ეს ერთადერთი ბურთი მე-16 წუთზე რაშიმა გაიტანა. ასე უხდგენენ უელსელები გათამაშების ცხრილს სათავეში.

მორიგი მატჩი 27 თებერვალს უნდა გაიმართოს — ბელგიელები მიიღებენ ლუქსემბურგელებს. აი, მომდევნო ორი შეხვედრა კი მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს: 27 მარტს ბელგიელები ეთამაშებენ უელსელებს, 1 მაისს კი გერმანელები უმასპინძლებენ ბელგიელებს.

3030 თორაელი

● **ნიდენი.** ავსტრალიისა და ჩეოსლოვაკიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა, რომელიც თავსება წვიმაში მიმდინარეობდა, დამთავრდა ჩეოსლოვაკიელთა გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს კულამ და გრუსმანმა.

ორი კვირი

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა აცნობეს, ლენინგრადში ჩემპიონატის მარეობდა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტური ხელბურთულ ვაჭთა გუნდებს შორის. თბილისის „ქარიშხალმა“ ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ერთში მიაღწია წარმატებას — დაძაბულ პაექრობაში სძლია მოსკოვის „კუნცევსს“ და ქულათა მოკრძალებული „ნადავლი“ ხუთამდე გაზარდა.

ვერ ვიტყვი, რომ დანარჩენ მატჩებში ქართველი ხელბურთელები ნაადრევად ყრიდნენ ფარ-ჩამალს: ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის ძლიერ გუნდთან ფრედ (16:16) დაამთავრეს პირველი ტაიმი და თამაშის დასასრულამდე ჩამდინივე წუთით ადრე კვლავაც ტოლს არ უღებდნენ მეტოქეს (21:21). თითქმის ავე იყო ცსკა-სთან (მეორე ნახევრის შუა პერიოდში ვაგებდით მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით — 14:15) და „ნევსთან“ შეხვედრებშიც (მე-18 წუთისათვის წინ ვიყავით 9:8), მაგრამ...

ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდულია, რაც გარკვეულ იმედს გვიძლავს — გვეუბნება „ქარიშხალის“ უფროსი მწვრთნელი ვიკტორ ბერიშვილი — ცხადია, გამოცდილება გვაკლია. გუნდში მოწვეული ქუქის გარდა დღეისათვის მხოლოდ ორი „ძველი“ მოთამაშე გვყავს — ჩიბირაშვილი და უფროსი სივოპლასოვი. ორი აზრი არ არსებობს — გუნდმა რაც შეიძლება მეტი უნდა თამაშოს, გამოცადოს ძალა სხვადასხვა მეტოქესთან, მათ შორის უცხოელებთან. ცხადია, ჩვენს თამაშს გარკვეულად დაეტყო ორი წლის „იძულებითი ვოიაჟი“ პირველ ლიგაში. საერთოდ პირველად მონაწილეობენ ასეთ სერიოზულ ტურნირში „ქარიშხალის“ ახალბედები: კერესელიძე, ორჯონიკიძე, ნათობიძე. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი ლენინგრადში გამოგზავრების წინ ავად გახდა, ისევე როგორც ჩაზის მოთამაშე ვიორაძე. ყოველივე ამან, რამდენადმე დაასუტა ჩვენი გუნდის პოტენციალი. იმედს მაინც არ ვაკარავთ, წინ საპასუხისმგებლო მატჩები გველის.

ოთარ ოთარაშვილი

ალექსანდრ დემიანჩუკის („ვეჩერნი ლენინგრადი“). ფოტო

„სპორტპროგნოზი“

მე-6 ტირაჟის შედეგები (8-10 თებერვლი)
1-X, 2-X, 3-X, 4-2, 5-1, 6-X, 7-X, 8-X, 9-2, 10-1, 11-X, 12-X, 13-2.

შანიშხვა: პირველი ციფრი

წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი

თენგიზ ბაკაილიაძე

თამარ დომენის ასულ

კინაპალიძის გარდაცვალების გამო.

მარგარიტა ველას ასულ

მახიაშვილის გარდაცვალების გამო.

უსწოთის ფეხბურთის ამბავი

● **გაელხასნი.** ჩრდილოეთ ირლანდიისა და პოლონეთის გუნდების ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა დამთავრდა ჩრდილოირლანდიელთა გამარჯვებით — 3:1. ჯერ დაწინაურდნენ სტუმრები (ვა-

რუხია), მაგრამ შემდეგ ტავარტმა (ორჯერ) და გამოლტონმა (11-მეტრიანით) დააწინაურეს მასპინძლები.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ჩემპიონატის პირველი ტურის 9 მატჩში მსაჯებმა 8 ფეხბურთელი გააძევეს მიწვევრიდან. აღსანიშნავია „სან-პაულუს“ გამარჯ-

ვება სტუმრად „ატლეტიკო მინეიროსთან“ — 3:0.

● **მადრიდი.** ესპანეთის საფეხბურთო თამის მერვედფინალურ მატჩში ეროვნული ჩემპიონატის ლიდერმა „ბარსელონამ“ სტუმრად მარცხი იწვნია მეორე დივიზიონის „ლას-პალმასთან“ შეხვედრაში — 0:1.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380098 თბილისი, მ. კოსტავას, 14, დეპუტატებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55 სამედიცინო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54. „მერანა“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

ჩვენს ინტელექტუალურ ცენტრში 66435

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. ბეჭდვა ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ნოზარაულის, 29. ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20